# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 298

"19" ივნისი 2025 წ.

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ია ოთარაშვილს (პ/ნ. 01017039663) შორის, 2021 წლის 14 აპრილს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-579-9-26137 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ" ქვეპუნქტის, 127² მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების; „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე, ასევე „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ია ოთარაშვილს (პ/ნ. 01017039663) შორის, 2021 წლის 14 აპრილს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-579-9-26137 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 12 ივნისის №25.954.1085 განკარგულების გათვალისწინებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გაუქმდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ია ოთარაშვილს (პ/ნ. 01017039663) შორის, 2021 წლის 14 აპრილს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-579-9-26137 ხელშეკრულების (შემდგომში - „ხელშეკრულება") „ბ" პუნქტით გათვალისწინებული პირობა - „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, მიმდებარე არეალთან ერთად".

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე